22. 02. 2024

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას,

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ქალბატონო/ბატონო

,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 37-ე მუხლის თანახმად, ამავე კოდექსის მე-40 მუხლით დადგენილ ვადებში, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია:

- როგორც ცნობილია, ქუთაისის მიმდებარედ ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის მოწყობა იგეგმება. ახალი ნაგავსაყრელი იმერეთს და რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთს მოემსახურება.
  აქედან გამომდინარე, რა ეტაპზეა "ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის" პროექტი. კერძოდ:

  დასრულდა, თუ - არა განხილვა;
  რომელი ტერიტორია შეირჩა;
  მომზადდა, თუ - არა შესაბამისი დოკუმენტაცია, თუ მომზადდა, რა ტიპის;
  რომელ მუნიციპალიტეტებს მოემსახურება აღნიშნული ობიექტი;
  რა მოცულობის თანხის დახარჯვა იგეგმება, მიუთითეთ დაფინანსების წყარო;
  როდის დაიწყება მშენებლობა;
  არსებული მდგომარეობით, რამდენი ნაგავსაყრელი ფუნქციონირებს და რომელ მუნიციპალიტეტებში;
  როდის დაიწყება ძველი, მათ შორის, ნიკეაზე და სამტრედიაში მოქმედი ნაგავსაყრელების დახურვა და რა დრო დასჭირდება აღნიშნულ პროცესს;
  რამდენი სტიქიური ნაგავსაყრელი არსებობს იმერეთის რეგიონში ამ ეტაპზე;
  რა მიზეზით გადავადდა ახალი ობიექტის მშენებლობის დაწყება. არსებული ინფორმაციით, იმერეთის გუბერნატორმა მშენებლობის დაწყება ჯერ კიდევ 2019 წლის თებერვალში გამართულ პრეზენტაციაზე დააანონსა. კერძოდ, მან თქვა, რომ მშენებლობა იმავე წლის მართში დაიწყებოდა და ერთ წელში დასრულდებოდა.

გთხოვთ, გამოიყენოთ კოდექსით განსაზღვრული ვადა და ინფორმაცია მოგვაწოდოთ სრულყოფილად, ელექტრონული ფორმით, ქვემოთ მითითებულ მეილზე: **editorrekhviashvili@gmail.com**

გმადლობთ წინასწარ.
პატივისცემით,

ნაზიბროლა რეხვიაშვილი
პ/ნ 62011003485
ტელ. 557 20 00 01.